პროექტის მიზანი

საქართველოში ტყე არა მხოლოდ უნიკალური ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას განაპირობებს, არამედ ასრულებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სოციალურ-ეკოლოგიურ ფუნქციებს. მოსახლეობას უწყვეტად აწვდის სასიცოცხლო რესურსებს, უზრუნველყოფს ადამიანების კეთილდღეობას, სიღარიბის აღმოფხვრასა და ეკონომიკის ისეთი დარგების მდგრად განვითარებას, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ტურიზმი.

სატყეო სექტორის განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და მედიის შესაძლებლობების გაძლიერება ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველ ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

მედია ტრენინგისა და კონკურსის ძირითადი მიზანია ჟურნალისტების კვალიფიკაციის ამაღლება საქართველოს სატყეო რეფორმის, სატყეო პოლიტიკის ძირითადი გამოწვევებისა და განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

პროექტის აღწერა

პროექტი გულისხმობს დაინტერესებული ჟურნალისტების ინფორმირებას სატყეო სექტორის პრიორიტეტების შესახებ შემდეგი სქემის მიხედვით

- 5 დღიანი ტრენინგი თემატური ექპერტების მონაწილეობით (ტყის მდგრადი მართვა, ტყეების ეკონომიკური ღირებულება და პოტენციალი, ტყის დამოუკიდებელი მონიტორინგის მექანიზმები, სატყეო პოლიტიკა და სტრატეგია, საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა)

  ტრენინგის ფარგლებში გათვალისწინებულია საველე გასვლა და მაღალი დონის ბრიფინგი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

- 3 სასწავლო ტური - გადამზადების კურსის გავლის შემდეგ ჟურნალისტები ეწვევინ საქართველოს ტყეების მოწყვლად უბნებს მეტყევეებთან და სფეროს ექსპერტებთან ერთად

- მედია კონკურსი - მედია პროექტის დაწყებისთანავე ჟურნალსტებს საშუალება ეძლევათ წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და საკონკურსოდ წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები შემდეგი ნომინაციებში პრიზის მოსაპოვებლად

    1. აქტიური სატელევიზიო გაშუქება
    2. აქტიური ბეჭდური გაშუქება
    3. საუკეთესო სატელევიზიო რეპორტაჟი
    4. საუკეთესო სტატია ბეჭდურ მედიაში
    5. საუკეთესო აუდიო-ვიზუალური რეპორტაჟი
    6. საზოგადოების რჩეული

ნამუშევრების წარმოდგენის ბოლო ვადაა **1 ოქტომბერი, 2017.**

გამარჯვებული ჟურნალისტების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება ოქტომბრის დასაწყისში.

- *ტრენინგის თითოეული მონაწილე მიიღებს სერტიფიკატს*

- *კონკურსის გამარჯვებულებს გადაეცემათ ფასიანი პრიზები და სპეციალური, განსხვავებული სერტიფიკატები*

სატყეო რეფორმა - ტრენინგი ბულაჩაურის მწვანე ცენტრში	
ნაკადი 1 (25 ჟურნალისტი)	18 – 23 ივნისი, 2017
ნაკადი 2 (25 ჟურნალისტი)	3-7 ივლისი, 2017
საველე გასვლა ბულაჩაურის ტყეში	
ნაკადი 1 (25 ჟურნალისტი)	23 ივნისი, 2017
ნაკადი 2 (25 ჟურნალისტი)	7 ივლისი, 2017
მაღალი დონის ბრიფინგი ძირითადი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით	
ნაკადი 1 (25 ჟურნალისტი)	23 ივნისი, 2017
ნაკადი 2 (25 ჟურნალისტი)	7 ივლისი, 2017

3 მედია ტური საქართველოს ტყეების მოწყვლად უბნებზე

ივლისი-აგვისტო, 2017